ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 3297059

გაცემის თარიღი: 07/06/2017 გაცნობის თარიღი: 07/06/2017

განცხადების ნომერი: AR1506353

შემოსვლის თარიღი: 23/05/2017

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.13.06.011.073
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ევდოშვილის ქუჩა N6
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 306.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს ევდო (406152657)

ნომენკლატურა :

- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები**
- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- კონსტანტინე მაზმიშვილი პ/ნ 43001039319
- მისამართი: ქარელი ს. დირბი მე–15 I შეს. N 6

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.09.2014 წ. №1464514 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქალაქე კონსტანტინე მაზმიშვილმა 23.05.2017 წ. №AR1506353 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურს და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 11.09.2014 წ. №1464514 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ 11.09.2014 წ. №1464514 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ევდოშვილის ქუჩა №6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი: №01.13.06.011.073, ფართობი 306 კვ.მ.) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 04.09.2015 წ. №2167025 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში.

განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 11.09.2014 წ. №1464514 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით, კერძოდ: მრავალფუნქციური ობიექტის (კომერციული, საოფისე, საცხოვრებელი) დაფიქსირება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნულ ტერიტორიაზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონა, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 11.09.2014 წ. №1464514 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ"

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ბრძანება

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 11.09.2014 წ. №1464514 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: მრავალფუნქციური ობიექტი (კომერციული, საოფისე, საცხოვრებელი);

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის

სამსახურის 11.09.2014 წ. №1464514 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04.09.2015 წ. №2167025 ბრძანებასთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.